

სახალხო გაზეტი

სუკათებიანი ჟამათება

გაზეტის № 656

ღამათების № 115

კვირა, 22 ივლისი 1912 წ.

გათუვის ტიპებიდან



სოუქ-სუ. ნახატი კ. ქავთარაძისა.



ბერელაშვილი, (ტფილისიდან).

რომელმაც პრაგაში მართონის დღესასწაულზე გაიმარჯვა და პირველი ჯილდო მიიღო.



იგნატიევი, (ტფილისიდან) რომელმაც მართონის დღესასწაულზე (პრაგაში) გაიმარჯვა და ჯილდო მიიღო.



რუსეთის „შეფარდენები“ პრაგაში ჩასვლისას. პირველ რიგში მოსჩანს გამარჯვებული ბერელაშვილი.

ჩემი ჩოხა


შესანიშნავი ჩოხა იყო! ჩემს ადგილას, სხვა ამ ჩოხას უსათუოდ მუზეუმში გაჰგზავნიდა, მაგრამ მე ცოტა მორცხვი ყმაწვილი გახლავართ და ვერ გამიბედნია. ბევრს გაუწია ჩემმა ჩოხამ სამსახური; ვის გინდათ, რომ ერთხელ მაინც არა სცმო-და: ამხანაგები, ნაცნობები და, ასე გასინჯეთ, უცნობებიც კი სარგებლობდნენ ჩემი ჩოხით.

პეტერბურგის მშვენიერი ზამთარი გახლდათ. თებერვლის პირველი რიცხვები იყო; ცოტა ჩამოთბა; თოვლი დნებოდა და სახლის სახურავებიდან ჩამოდენილი წყლის წვეთები ფანჯარების გარეთა, რკინის ლასტებს ეცემოდა. ეს ხმაურობა მეტად მოწიბვლელს მუსიკას ჰქმნიდა და ცალკე ამ მშვენიერი საღამოს და ცალკე წარმტაც მუსიკის გავლენის ქვეშ ოცნებას გავყე რამოდენიმე მანძილზე.

მეწვია და, აბა, გაცილებას უარს როგორ ვეტყვი. რა მუხთალი რამ არის ადამიანის ცხოვრება! ამ საოცნებო, პოეზიურს წამებში, დალოცვილმა, აუცილებლად დაინახა პროზა შემოვრია!..

დერფანში ზარმა დაიწკარუნა. ოცნება მაშინვე ხელიდან გამისხლტა და უცბად გამოვერკვიე. უნდა გამოვტყდე, რომ გულმა რაღაც სასიამო წინადგომობა მაცნობა და კარის გასაღებად გავვარდი. გავაღე კარი, მაგრამ ვერაფერი დავინახე; მხოლოდ რაღაც შავი საგანი მოსჩანდა. რაღაც ეშმაკად კიბეზე სინათლე ჩამქრალიყო და ვის დავინახავდი?!

კარები უფრო ფართოდ გავაღე, რომ დერფენიდან კიბეზე სინათლე გასულიყო და გავიხედე.




„ქალი და პაიცი“ — ქანდაკება ლეროლისა.

ამ ქანდაკებამ პარიზის უკანასკნელ სალონში დიდი ყურადღება მიიქცია. ქალი მარცხენა ხელით ათამაშებს ერთს, ხოლო სათადარიგოდ მარჯვენაში უჭირავს რამდენიმე ასეთივე მსხვერპლი.

ჩემს წინ იდგა მეტის-მეტად შავგვრემანი ყმაწვილი კაცი, ღრეჭით რაღაცას მეუბნებოდა და თან თავის ლაპარაკს რაღაც უცნაურს ფხაკა-ფხუკს აყოლებდა.

- ხე-ხე-ხე! უეჭველია, მიხვდით, რათაც გიახელით.
- სრულიადაც ვერ მივხვდი, წარმოიდგინეთ!
- თქვენსკენ გზა მომასწავლა სანდრო ქოჩორიანმა.
- რათა სწუხდებოდა, გარჯად არა ღირდა უპასუხე მე, — რადგან სტუმრის ნათქვამი ხეირიანად ვერ გავიგე. — ფრიად და ფრიად სასიამოვნოა ჩემთვის ამგვარი გაცნობა.



მონე სიულდი.

31 წლისა, როდესაც პარიზის „Teatre Francais“-ში პირველი დებიუტი ჰქონდა.

„ღმერთმა მეტი სიამოვნება ნუ მოგცეს!—გავიტარე გულში ღრძო აზრი.

— ნება მიბოძეთ, ე—ე, ჩემი მოსვლის მიზეზი მოგახსენოთ.—დაიწყო კვლავ სტუმარმა.

— ბრძანეთ, ბატონო, ბრძანეთ, მხოლოდ ჯერ ოთახში მობძანდით.—უპასუხე მე და გუნებაში ერთი ლაზათიანად შეუკურთხე ეშმაკს.

სტუმარმა ზედა სამოსი გაიხადა და ოთახში ბრაგი-ბრუგით შემოვიდა; გაჩერდა საწერს მაგიდასთან, თავი გვერდზე გადაიგდო, ვეებერთელა ლაშები განაპო და კვლავ დამატებო ცხენის ოდენა კბილების მზერით. ამასთანავე ისეთი საოცარი ფხაკუნის ასტეხა, რომ ვერ წარმოიდგენთ. ჯერ მეგონა, ამგვარი ნიჭი უპატიოსნოდ დაღებულს ხახაში ჰქონდა ჩამარხული და იქიდან წარმოსდგებოდა; მაგრამ, როდესაც ყური კარგა დაუგდე, ნათლად დაუინახე, რომ სხეულის დიამეტრალურად მოპირდაპირე ნაწილი ხარჯავდა ამაზე ენერჯიას. თურმე ნუ ბრძანებთ, ჩემი ძვირფასი სტუმარი, რაც ძალი და ღონე აქვს, ნალის ქუსლებს გამწარებით ურტყამს ერთმანეთს და ამ ფეხთა ვარჯიშში, ე. ი. თავისებურს ფერხულში რომ ჰყავს საცოდავი წყვილი ფეხი, ერთი ფხაკა-ფხუკი ისმის.


ვაი, ჩემი ბრალი, რომ მეტად ზანტი გონების პატრონი ვარ! მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ სტუმარს ამ ფეხთა ვარჯიშით უნდოდა ეჩვენებინა ჩემთვის თავის მაღალი შთამომავლობა; ანუ, უბრალოდ რომ ვსთქვა, უნდოდა უსიტყვოდ მიექცია ჩემი ყურადღება იმისთვის, თუ რა წრეს ეკუთვნის, რომ საკუთარ პიროვნებისადმი ჩემში უადრესი პატივისცემა ჩაენერგა და მეც შესაფერი გულისყურით მიმეღო...

სწორედ მოგახსენოთ, თავი ველარ შევიკავე, ზრდილობას გზა მშვიდობისა უსურვე და ერთი ღვარძლიანად ჩავიხითხითე. სტუმარმა ჯერ პირი დაალო და ცოტა ხანს ამგვარს ულამაზო მდგომარეობაში იყო. ბოლოს, თითქოს ზრდილობის აღდომ უშველაო, ალბად საჭიროდ სცნო მასპინძლის განწყობილებისთვის მხარი დაეჭირა და თითონაც ხარხარს მოჰყვა.

— თუ ღმერთი გწამთ, საწყენოდ ნუ მიიღებთ ჩემს საქციელს,—უთხარ, როდესაც დავმშვიდდი,—ეს ერთი ხანია,



იაპონიის იმპერატორი მუტუ-ხიტო.
(გარდაცვალების გამო).



დსწიფეთ ღინცე

მონე სიულდი (უკანასკნელი სურათი).

საფრანგეთის გამორჩენილი მსახიობი, 40 წლის მოღვაწეობის დღესასწაულსა გამო.

ძარღვები მოშლილი მაქვს და ჩემი ხითხითიც ამან გამოიწვია!

მე გულუხვი მასპინძლის გამომეტყველება უბოძე ჩემს სახეს; სტუმარმა ჯერ შუბლი შეიკრა, შემდეგ ისევ გადაჰხარა თავი გვერდზე და პირდაღრენილმა მომხიბვლელი ღიმილით მომმართა.

— წარმოიდგინეთ, რა აზრი მომავიდა თავში! იმ წამებში მე მხოლოდ სტუმრის სახის გამომეტყველებამ გამიტაცა და საშინელი მსგავსება შევნიშნე მასში ცხენის თავთან; ასე რომ მის სიტყვები კვლავ გამოეპარა ჩემს გაუზრდელს ყურებს და მაშინაღურად უპასუხე:

— წარმოდგენილი მაქვს! მოვდივარ, ჩემო ბატონო, თქვენსკენ მოვემართები და კიბეზე რომ შევდექ, სიბნელეში მეტად ნათელი აზრი მომევიდინა ელვის სისწრაფით.—განაგრძო სტუმარმა.

— იქელი მაქვს, არ დაიშურებთ და ჩემს გულსაც ნათელს და შუქს მოჰფენთ თქვენი მოელვარე აზრით.—შევეხვეწე სტუმარს და თითქმის ყელიც გაუწიე ორი თითით.


— სრული დარწმუნებული გახლავართ, რომ ჩვენ, ე. ი. მე და თქვენ, ერთმანეთის არა თუ ნაცნობები, ნათესავებიც კი ვართ.

ახლა ჩემი ჯერი დადგა პირის დაღებისა და, სწორედ მოგახსენოთ, ისე დავადე კიდეც, რომ სტუმარი კინალამ შიგ ჩამოხტა. იქნებ მომეჩვენა, მაგრამ ამგვარი სურვილის გამომხატველი მოძრაობა კი შევამჩნიე: სავარძლიდან წამოიწია!

„ნუ თუ ჩვენს გვარსაც მოელის შთამომავლობაში ნაგიჟარების ყოლა!—გავიფიქრე ჩემი გვარისადმი სიბრაღულით გამსჭვალულმა.

უცხად თავში აზრმა გამიბრინა. საშინლად მომინდა ჩემი სტუმრის მასხარად ავღება.

— წარმოიდგინეთ, მეც წინადგრძნობა რალაცას მეუბნებოდა; ამ ერთი საათის წინად, ალბად, როდესაც თქვენ ჩემზე გქონდათ ლაპარაკი, საშინელი სლოკინი ამივარდა. ნება რომ მოეცათ, გეფიცებით ჩვენს ნათესაობას, ერთ კოკა წყალს დავლევდი; მაგრამ, უნდა მოგახსენოთ, მეტად მზრუნველი მეუღლე მყავს და არამც და არამც არ დამთანხმდა ამგვარს



ანრი პუანკარე.

საფრანგეთის გამორჩენილი მათემატიკოსი. გარდაიცვალა პარიზში 4 ივლისს 1912 წ.

კომბინაციაზე, — გატაცებით დაიწყე ლაპარაკი, — რამდენიმე წამის წინა დღე, ალბად, როდესაც თქვენ ჩემი ბნელი კიბის საფეხურზე უკვე ინებეთ თქვენი ნათელი ფეხის დადგმა, გულ-მა საშინლად დამიწყო ცემა და ჩემს თავს მივმართე წინასწარმეტყველებრივი სიტყვით:

— ანდრია, იცოდე, რომ უსაზღვრო სიხარულით აგვესება მალე გული! მეთქი.

სტუმარმა დიდი მოთმინებით მოისპინა ჩემი ტირილი და, როგორც გავჩერდი, ტყვიასავით მომახალა კითხვა:

— უკაცრავად, თქვენ საზღვარ გარედ ხომ არა გყავდათ ნათესავი...

— ეგ სადა, ბატონო, რომელს ქალაქზე ბძანებთ?

— პარიზში რომ იყო, თქვენ როგორ მოგხვდებოდით?

აქ სტუმარმა ჩემი ნათესავი დაასახელა.

— დიახ, დიახ, როგორ არა, ჩემი ახლო ნათესავი გახლავთ...

— მამა ჩემი, ჩემო ბატონო, რამდენჯერმე გახლდათ პარიზში და იქ გაიცნო.

— ფრიად სასიამოვნოა ჩემთვის, რომ ასე ახლო ნათესავები გამოვდექით. — თავი დაუკანტურე სტუმარს.

— ამას გარდა, ერთი თქვენი მოგვარე ტფილისშიც გახლავთ; გეცოდინებათ, მიხეილის პროსპექტზე ღვინის სარდაფი აქვს! ოჰ, ღმერთო ჩემო, რა მშვენიერი სარდაფია! კედლებზე „ვეფხისტყაოსნიდან“ არის დახატული სცენები. ალბად, ისიც თქვენი ნათესავი იქნება?

— ჰმ... დიახ, გამიგონია, რომ ტფილისში არსებობს მავანი კაცი, მაგრამ...

— როგორ არა, ბატონო, როგორ არა! ის ჩვენი გვენათესავება, ახლო გვენათესავება. — დამისხნა გაჭირვებიდან სტუმარმა. — მამიჩემის დისწულის მახლის ბიძაშვილია! დიახ, დიახ, ღვიძლი ბიძაშვილია!

— და რასაკვირველია, — განვმარტე მე — რაკი ის თქვენი ნათესავი ყოფილა, ჩემიც იქნება, რადგან მამა თქვენი პარიზში ყოფნის დროს...

— სრული ქვემარტება გახლავთ, სრული! — აღარ დამაცადა სტუმარმა გამომერკვია ჩვენი ახლო ნათესაობის შტო. მე მხოლოდ ახლა დავაკვირდი მის გიშერით შავს თმას, რომელიც ფაქიზად და დიდი მოთმინებით იყო გაყოფილი შუაზე, ისე რომ ნაცრისფერი ზოლიც კი მოსჩანდა თავზე.

— იქნება, ჩემს ძმასაც იცნობდეთ? — აღარ მანებებდა სტუმარი ნაცნობ-ნათესაობით თავს.

— როგორ არა, ვიცნობ, ვიცნობ! კარგადაც ვიცნობ. მშვენიერი ყმაწვილია! — აღტაცებით წარმოვსთქვი, რომ როგორმე მომეზორებინა თავიდან. — მაგრამ, უკაცრავად, — მომაგონდა, რომ ადვილად შეიძლებოდა სტუმარს ტყუილში დავეჭირე, — შეიძლება ურევ! დიდი გულმავიწყი გამოვდექი და აქამდე ჩემს ძვირფასს სტუმარს და ნათესავს გვარი არა ვკითხე. იქნებ, კეთილინებოთ და გვასმინოთ...

— ორტომავილი, ბატონო, ორტომავილი! როგორ არ იცნობთ, დარწმუნებული ვარ, რომ კარგადაც იცნობთ. — მომიგო სტუმარმა, გამიღრიჭა და მოაღერსე ღიმილით, რომლის დროსაც, როგორც მოგახსენეთ, ადამიანს ცხენის თავს მოაგონებდა, შემომხედა.

უტბად გავიფიქრე: „მოდი ვისმე გვარს გამოვიგონებ და ვკითხავ, აბა რას იტყვის! — მეთქი.

— ერთი მიბძანეთ, თქვენ ხომ დათიკო საწერკალმიძეს არ იცნობთ.

სტუმარი ღრმად ჩაფიქრდა და შემდეგ უეცრად წამოიყვირა:

— აჰ! როგორ არ ვიცნობ, ღმერთო ჩემო, დათიკო... დათიკო საწერკალმიძე! დიდი მეგობრები არიან მგონი ის და მორდელაძე!

— მაღალია, ხმელ-ხმელი! — ვიცრუე კიდევ.

— დიახ, ტანდაბალი გახლავთ, კარგა ჩასუქებული! — ყურს აღარ მივდებდა სტუმარი და გატაცებული განაგრძობდა. — შავ-შავი ყმაწვილია, ცხვირზე, მგონი, მეჭექიციკი აქვს...

— რათა, თეთრ-წითელი მეგულეობდა მე დათიკო?! მეჭექისა კი რა მოგახსენოთ...

— არა, ის არის, ის! ნამდვილი მისი სურათი ამიწერეთ. — ჩქარობდა დაესწრო სტუმარი...

— მე სხვას მოგახსენებთ, ბატონო! — როგორც იყო შევაჩერე ენერგიული წამოყვირებით.

— უკაცრავად, რა ბძანეთ?
— ის თეთრ-წითელი მეთქი, მოგახსენეთ! — გულმოსულმა მივახალე.

ცხენის თავი ცოტა დაიბნა, მაგრამ დიდხანს არ შემდგარა და სწრაფად განაგრძო უგუნური ღიმილით.

— ე—ე... შეიძლება სოფლიდან ახლად ჩამოსული გახლდათ და მზე... ცოტა არ იყოს, მოეკიდა!

— ეგრე იქნებოდა უეჭველად! — მოვკერ მოკლედ და მეგონა ახლა ლაპარაკი გათავდა. მაგრამ სტუმარი ისევ აღტაცების გავლენის ქვეშ იყო და სავარძელზე იკლანებოდა.

— იქნებ, მორდელაძეს იცნობთ, ან ბერეთელს, ან ვარდანიძეს... სხვადასხვებით მომაცარა ხელახლად.

— არა, არა, არ ვიცნობ! — გადავწყვიტე თავი დამეხწია სტუმრის სიტყვიერი წარღვნისაგან.

— სულაბერიძეს ან ხომასურიძეს?
— არა, არც იმათ ვიცნობ.

ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. სტუმარმა როგორღაც მოიწყინა. ბოლოს, ჩვეულებრივ, ცხენის თავი გამოჰხატა, ფხაკა-ფხუკი აუტეხა ისევ ფეხებს და თანაც თავის კანტურს მოჰყვა.

„ვაი, შენი პატრონის ბრალი!“ — შევიცოდე „ნათესავის“ მშობლები. რატომ არ მოგივლიან, ნეტავ!“

ჩემი ფიქრის პასუხად სტუმარმა ფხაკა-ფხუკით მომმართა:

— ახლა აღარ შეგაწყენთ თავს და გამოგემშვიდობებით.

— რათა ჩქარობთ! ჯერ მხოლოდ „უკვე“ ათი საათია. თუმცა მე ახლა სრულიად არა მაქვს თავისუფალი დრო და თითო წამსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩემთვის, მაგრამ, როგორც ნათესავს...

— დრო გახლავთ, ბატონო! მხოლოდ ერთად-ერთი სათხოვარი მაქვს თქვენთან.

— ბძანეთ, ბატონო, ჩემი ყური ყურადღების ლურსმანზე ჰკიდია!

— თუ შეიძლებოდა... ე—ე... და თუ თქვენთვის საძნელო არ იქნება... ერთი-ორი დღით ჩოხა მათხოვეთ. ნაცნობს ოჯახში საშინაო საღამო იმართება და იქ მინდა წავიდე ჩემს ეროვნულს ტანისამოსში.

„რამ სიმორცხედ დაიწყო! არ ერჩინა, თავშივე ეთქვა და წასულიყო?“ — მივხვდი ბოლოს „ნათესავის“ დარბაზობის მიზეზს.

— ჰე! ადვილი გასაგებია ეგ თქვენი სურვილი. ჰგონობთ, რომ სამშობლოს ერთი საუკეთესო შვილთაგანი აქ თქვენა ბძანდებით. — გულმოსულმა უჩხვლიტე.

მაგრამ სტუმარი მეტად სქელკანიანი გამოდგა და სიამოვნების ღიმილად გადიქცა.

— მეტად მაქებთ, ღირსი არა ვარ!

— ნუ, ნუ, მაგას ნუ ბძანებთ! თუ ღმერთი გწამთ მაგას ნუ გამაგონებთ! არა მჯერა! — სიტყვა გავაწყვეტინე მაშინვე. — ჩოხას დიდი სიამოვნებით გათხოვებთ, მხოლოდ ამ ყამად ჩემს მეგობართან არის და იმასთან მოგხიბვრებათ წასვლა. მომიტმინეთ, წერილის მიგიწერეთ.

საჩქაროდ დავეჯექი მაგიდასთან და მივწერე ამხანაგს:

„ძმაო ნიკო! არამც და არამც ამ ნაფიქრს ჩოხა არ მისცე! შენი ანდრია“.

წერილი დავბეჭდე, მისამართი დავაწერე და სტუმარს გადავეცი.

— დიდად, დიდად გამადლობთ! — წამოიყვირა ნასიამოვნებმა, ხელ-ახლად ასტეხა ფხაკა-ფხუკი ფეხებით და ბოლოს წამოღდა.

საჩქაროდ ხელი ჩამოვართვი და დერეფანში გავყე.

— ჩოხა იქვე მიიტანეთ, საიდანაც წაიღოთ, თუ შეიძლებოდა! — ბორბტი ღიმილით უთხარ ჩემი წვალებისთვის სტუმარს.

როდესაც კარებს ვხურავდი კიბეზე, გამოთხოვებისას ერთი კიდევ ჩააბა ფერხული სტუმარმა, ცხენის თავი მაჩვენა და წავიდა.

დემნა მროველი.

